ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 9

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ
მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
მარეხ ნიჟარაძის არჩევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების, 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-100 მუხლისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. არჩეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მარეხ ნიჟარაძე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამების შესახებ“ საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი №2 წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მარეხ ნიჟარაძის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. № 9
30 11 2025 წ.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭიღლაია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
საკრებულო